საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის №2-სა და №4-ს შორის მდებარე შპს "ბანი 13"-ის ავტოგასამართი კომპლექსის (ს/კ 01.72.14.034.073) პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ ნორმებთან შესაბამისობაზე, ტერიტორიაზე არსებულ და სხვა შენობა ნაგებობასთან მიმართებაში

თბილისი 2017წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის №2-სა და №4-ს შორის მდებარე შპს "ბანი 13"-ის ავტოგასამართი კომპლექსის (ს/კ 01.72.14.034.073) პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ ნორმებთან შესაბამისობაზე, ტერიტორიაზე არსებულ და სხვა შენობა ნაგებობასთან მიმართებაში

ექსპერტიზაზე გადმომეცა შპს "ნ & კო"-ს მიერ შპს "ბანი 13"-ის ავტოგასამართი კომპლექსის რეკონსტრუქციის პროექტი კერძოდ, საოპერატოროზე მეორე სართულის დაშენების თაობაზე.

ავტოგასამართი კომპლექსი დაპროექტებულია საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია NFPA 52-სა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების აირადი საწვავის და ადვილად აალებადი წვადი სითხეების შესახებ კანონი NFPA 30 2012 წლის მიხედვით. იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №52 2014წ. 14 იანვარი საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ).

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი შპს "ბანი 13"-ის პროექტი ხორციელდება ტერიტორიაზე ს/კ 01.72.14.034.073.

არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულია ერთსართულიანი შენობა, საოპერატორო, მეტალის კონტეინერში არსებული კომპრესორი, ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები მოცულობით V=20 მ^3, ნავთობპროდუქტების ამსვები სვეტები, ბუნებრივი გაზის ამსვები სვეტები, მეხამრიდი და მგზავრთა მოსაცდელი.

არსებული ბუნებრივი აირის შესანახი დამჭირხნი და გამანაწილებელი ხელსაწყო-დანადგარები დაცულია სატრანსპორტო საშუალებებით დაზიანებისაგან.

საკონტროლო მოწყობილობები ისეა დამონტაჟებული, რომ ყინვამ ან ჰიდრატების წარმოქმნამ არ გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების ან გასამართი კომპლექსის მწყობრიდან გამოსვლა. საკომპრესორო აღჭურვილია წნევის შემზღუდველით, რომელიც მაქსიმალურად დასაშვებ სამუშაო წნევამდე შეზღუდავს კომპრესორის თითოეულ საფეხურის დაწნევას კომპრირების ცილინდრებში და მილსადენებში, ასევე არსებობს მაღალი წნევის განმუხტვის და დაბალი წნევის შემწოვი ავტომატური გამორთვის ბერკეტი. გამომრთველი სქემები გამორთული რჩება მისი ხელით გააქტიურების მომენტამდე.

კომპრესორის კონტეინერი დამონტაჟებულია ფუნდამენტზე და აკმაყოფილებს მიღებულ სამშენებლო ნორმებს და წესებს, შესაბამისი სეისმური და მეტეოროლოგიური პირობებისათვის.

შეკუმშული ბუნებრივი აირის კომპრირების, შენახვის და განაწილების მოწყობილობა განთავსებულია გრუნტის დონის ზემოთ 0.15მ-ით და ნორმაზე (ნორმა 3 მ) მეტადაა დაცილებული უახლოესი მნიშვნელოვანი შენობებისაგან. გარდა

კონტეინერში განთავსებული ტრანსფორმატორისა, რომლის მონტაჟიც განხორციელა ელ. ქსელების სამმართველომ (ПУЭ-ს მიხედვით). საკომპრესოროს ვენტილაციას ახორციელებს ვენტილაციის უწყვეტი მექანიკური სისტემა, რომელიც ააქტიურებს ბუნებრივი გაზის აღმომჩენი კონტროლის სისტემა თუ გაზის კონცენტრაცია მიაღწევს აალებადობის ქვედა ზღვრის მინიმუმ ერთ მეხუთედს. სისტემა დაუყოვნებლივ კეტავს საწვავის გასამართ სისტემას , საგანგაშო მდგომარეობის აღმოჩენისას ან სავენტილაციო ან საკონტროლო სისტემის მწყობრიდან გამოსვლისას.

ავტოგასამართი კომპლექსის ხელსაწყო დანადგარები შენახვისა და განაწილების მოწყობილობა მინიმუმ 3 მეტრით არის დაცილებული მანქანების სავალი ნაწილის კიდიდან.

ავტოგასამართი კომპლექსის ბუნებრივი გაზის ტექნოლოგია შედგება რამოდენიმე ძირითადი ნაწილისაგან.

მკვებავი გაზსადენი, რომელიც უზრუნველყოფს გაზის ტრანსპორტირებას გამანაწილებელი ქსელიდან ობიექტამდე. ავტომატური გაზის გამანაწილებელი სადგური იკვებება საშუალო წნევის გაზის ქსელიდან. ობიექტი შედგება შემდეგი დანადგარებისაგან: ბუნებრივი აირის კომპრესორი, რესივერები, დისპენსერები და მართვის პულტი.

გაზის კომპრესორი ახდენს გაზის დაჭირხვნას 1-დან 250 ატმოსფერომდე, შესაბამისი საფეხურების გავლის საშუალებით, რომელსაც უზრუნველყოფს ელექტრო ძრავი ფეთქებადუსაფრთხო შესრულებით.

კომპრესორს აქვს მართვის ფარი. იგი პასუხისმგებელია მთლიანი უსაფრთხოების პროცესზე, დაწყებული გაზსადენიდან, ანუ გაზის მიღებიდან, დამთავრებული გაზის მოხმარებისთვის მიწოდებამდე. მას გააჩნია ხუთჯერადი დაცვა, როგორც ელექტრო ნაწილის, ასევე გაზის წნევების მოწყობილობების კონტროლირებისათვის. იგი დაშვებული პარამეტრებიდან გადახრისთანავე წყვეტს სადგურის ფუნქციონირებას და როგორც ხმოვანი, ასევე სინათლის სიგნალით იძლევა გაფრთხილებას.

აკუმულატორების ბლოკში ხდება კომპრესორიდან გამომავალი 250კგ/სმ^2-მდე დაჭირხნული გაზის აკუმულირება. იგი საჭიროა სადგურის პიკის საათებში მუშაობისას მიეხმაროს კომპრესორს. ასევე არ დაუშვას კომპრესორის ხშირი ჩართვა გამორთვა.

სადგურის ბოლო ფუნქცია მოიცავს დისპენსერით გაზის გაცემას მომხმარებელზე. აკუმულატორის ბლოკიდან ტრანშეიში გამავალი ფოლადის მილების საშუალებით, რომელიც ფოლადის ფილებით არის დაფარული. გაზი მიეწოდება დისპენსერებს. დისპენსერს თავის ციფერბლატზე გამოაქვს გაზის რაოდენობა და ფასი, რის შემდეგაც მთავრდება სადგურის ფუნქციონირების ციკლი.

ავტოგასამართ კომპლექსზე ნავთობპროდუქტების მიღებისა და გაცემის ტექნოლოგიის შემადგენელი ნაწილების: ნავთობპროდუქტების მიმღები

ავტოცისტერნის სადგომი. სარეზერვუარო პარკი ნავთობპროდუქტების გამცემი სვეტები ტუმბოებით და უსაფრთხოების კუნძულით.

მომხმარებლებისათვის გასაცემი ნავთობპროდუქტების შენახვა ხდება მიწისქვეშა ლითონის რეზერვუარებში, რომლებიც აკმაყოფილებენ ტექნიკურ, ეკოლოგიურ და ხანძარსაწინაღო მოთხოვნებს.

ნავთობპროდუქტის შესანახი რეზერვუარები აღჭურვილია ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტის შევსების ხაზით, რეზერვუარებს ნავთობპროდუქტის დონის განმსაზღვრელი ხელსაწყოთი, მარიგებელ სვეტამდე ნავთობპროდუქტის გაცემის ხაზით. რეზერვუარებს აქვთ შემოწმებისა და პერიოდული გაწმენდის ჩატარებისათვის საჭირო ზომის ხახა, აგრეთვე სასუნთქი სარქველები ექსპლოატაციის პროცესში მის შიგნით მუდმივი მუშა წნევის შენარჩუნებისათვის.

სახანძრო უსაფრთხოების მიხედვით ობიექტზე გათვალისწინებულია გადასატანი, ხელის ცეცხლმაქრები და მოწყობილია სახანძრო სტენდი.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №2-სა და №4-ს შორის მდებარე შპს "ბანი 13"-ის ავტოგასამართი კომპლექსის ტექნოლოგიური ნაწილი შესრულებულია თანახმად საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია NFPA 52-ის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების აირადი საწვავი და ადვილად აალებადი წვადი სითხეების შესახებ კანონი NFPA 30 2012 წლის მიხედვით.

ობიექტის ტექნოლოგიური ნაწილი შესაბამისობაშია ზემოხსენებულ კანონებთან და არავითარი დარღვევა არ არის როგორც რეკონსტრუირებულ ასევე სხვა მის გარშემო არსებულ შენობა ნაგებობებთან.

პროექტი შესრულებულია დამაკმაყოფილებლად და ვაძლევ დადებით შეფასებას.

დამოუკიდებელი ექსპერტი /დ. ჩახტაური/

მისამართი: ქ.თბილისი მთისძირის №43	**Tel:** +995 599 58 29 12 +995 597 94 44 44 + 322 77 57 17 **Email:** dchakhtauri@yahoo.com

	CURRICULUM VITAE
სახელი	*დავით*
გვარი	*ჩახტაური*
დაბადების თარიღი	*05.02.1951*
პროფესიული გამოცდილება	1976-1980წწ. ქ. თბილისი, მეტალურგიის ინსტიტუტი (პრეპარატორი) 1980-1996წწ. ქ.თბილისი, თბილგაზი (საპროექტოს უფროსი ინჟინერი) მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური დაცვა (საველე საინჟინრო პარტიის უფროსი) 1996-2000წწ. თბილგაზი საპროექტოს მთავარი ინჟინერი 2000-2010წწ. ქ.თბილისი, ყაზტრანსგაზი (საპროექტოს მთავარი ინჟინერი) 1996წ-დან დღემდე ექსპერტთა კავშირის წევრი 2011წ-დან დღემდე დამოუკიდებელი ექსპერტი, რეგისტრირებული ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების სამინისტროში
განათლება, ტრენინგები და სემინარები	1958-1968წწ. ქ.თბილისის 103-ე საშ. სკოლა 1972-1975წწ. ქ.თბილისის ნავთობისა და გაზის ტექნიკუმი 1976-1982წწ. ქ.თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი (საამშენებლო მექანიკური ფაკულტეტი, თბოაირმომარაგება-ვენტილაციის განხრით)
ენები	ქართული - *მშობლიური,* რუსული - *კარგად, გერმანული - საშუალოდ, უკრაინული - საშუალოდ, სომხური -საშუალოდ*
სხვა ინტერესები	*სხვადასხვა პროექტებში ჩართულობა, პასუხისმგებლობის აღება*
კომპიუტერული პროგრამები	MS Office
პერსონალური ღირსებები	*გუნდის კარგი წევრი, კრეატიული, კომუნიკაბელური, პუნქტუალური, გამაჩნია პასუხისმგებლობის მაღლი გრძნობა.*

შესრულებული სამუშაოები:

პროექტირება

1. მიწისქვეშა და მიწისზედა გაზსადენები d=50÷d=500-ის ჩათვლით. წნევები საშუალო, მაღალი, მაგისტრალური ფოლადის მილები, დაბალი, საშუალო და მაღალი p≤0,6მპა (6კგ/სმ^2) პოლიეთილენის მილები;
2. გაზსადენით რკინიგზის, ტრამვაის და ავტომაგისტრალების გადაკვეთა;
3. თბოცენტრალების გაზმომარაგება;
4. კვარტალური და ინდივიდუალური საქვაბეებით კერძო საცხოვრებელი, მრავალსართულიანი სახლების კომუნალური ობიექტების, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების და კვების ობიექტების გაზმომარაგება, თბომომარაგება;
5. საავადმყოფოების, სასწავლო დაწესებულებების და ბაგა ბაღების გაზმომარაგება, გათბობა და ვენტილაცია;
6. სპეციალური ობიექტების გაზმომარაგება როგორიცაა, მინის ფოლადის, ბაზალტისა და ფერადი ლითონების ტილინგები და სამჭედლოები, სადნობი ღუმელები. საავადმოფოების კრემატორიუმები, ნაგავგადამამუშავებელი საწარმო და სამჭედლოები და ნავთობის სახდელი ღუმელები;
7. აირსავსები საკომპრესორო სადგურები, ბუნებრივი გაზის მოძრავი ავტო გასამართი სადგურების განთავსება;
8. დასახლებული პუნქტების გაზმომარაგება და წყალმომარაგება.
9. აგურის და კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ღუმელები;
10. საიდუმლო ობიექტების გაზმომარაგება;
11. სოფლებისა და დასახლებული პუნქტების გაზმომარაგება.
12. მაღალი წნევის ორთქლის ქვაბები.

ელ. ქიმიური კოროზია

1. მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური კოროზიისაგან დაცვა;
2. ელ. ქიმიური დაცვის პროექტირება;
3. მიწისქვეშა რეზერვუარების პროტექტორული დაცვა;
4. ენგურის ქაღალდის კომბინატის d=700 და d=500 L=22კმ გამწმედი ნაგებობების ელ. ქიმიური დაცვა.

ნავთობსადენი

1. ბაქო-ჯეიჰანის მცირე ნავთობსადენის პროექტირება (ჯანდარა ხაშურის მონაკვეთი)

თხევადი გაზი

1. თხევადი გაზით საცხოვრებელი სახლების გაზმომარაგება;
2. თხევადი გაზის შესანახი ბაზები, პუნქტები, ავთო გასამართი სადგურები;

3. თხევადი გაზით ხაშურისა და ქსნის მინის ტარის ქარხნების გაზმომარაგება თხევადი გაზის შესანახი ბაზითა და რკინიგზის ესტაკადის;
4. ქიმიური ობიექტები;
5. თხევადი გაზის ტანკერის დამცავი სარქველების პროექტირება.

ექსპერტიზა

1. წყალგამაცხელებელი ქვაბები;
2. მაღალი წნევის ორთქლის ქვაბები;
3. ნავთობბაზები;
4. ავტოგასამართი სადგურები;
5. აირსავსები საკომპრესორო სადგურები;
6. მეტალურგიული ობიექტები;
7. ჰიდროელექტროსადგური;
8. მაგისტრალური გაზსადენები;
9. დიუკერები და ლუპინგები;
10. გაზსადენების საჰაერო გადასვლები;
11. მიწისქვეშა გაზსადენების ელ. ქიმიური დაცვა;
12. ნავთობსადენები;
13. ავტომატური გაზის მარეგულირებელი სადგურები;
14. შავი ზღვის ტერმინალი ყულევში.

მონაწილეობა მაქვს მიღებული საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების შედგენაში.



დიპლომი

ИВ № 243284

ეს დიპლომი მიეცა ...
...
მასზე, რომ იგი 1976 წელს შევიდა
...
და 1982 წელს დაამთავრა
...

სრული კურსი სპეციალობით ...
...

სახელმწიფო ... 1982 წ.
„ 2 “ VII ... ...
...
...

სახელმწიფო ...
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი ... 1982 წ. „ 4 “ X

სარეგისტრაციო № 17733

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ИВ № 243284

Настоящий диплом выдан Чахтаури Давиду Ираклиевичу
в том, что он в 1976 году поступил
в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1982 году окончил полный курс
названного
института
по специальности теплогазоснабжение и вентиляция

Решением Государственной экзаменационной комиссии от 2 VII 1982 г.
Чахтаури Д.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П.

Город Тбилиси „4“ X 1982 г.

Регистрационный № 17733

Московская типография Гознака. 1981.

KA020101784124514

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 11/1365

06 / მარტი / 2014 წ.

ბატონ დავით ჩახტაურს პ/ნ 01011023976
მცხოვრები ქ. თბილისი მთისძირის ქ. N43

ბატონო დავით,

თქვენს 2014 წლის 6 მარტის განცხადებაზე პასუხად, რომელიც ეხება თხოვნას - თქვენს მიერ გაზიფიკაციის პროექტების და მშენებლობის ექსპერტად რეგისტრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის დადასტურების თაობაზე, გაცნობებთ, რომ ბ-ნი დავით ჩახტაურის კანდიდატურა სამინისტროს მიერ შეთანხმებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების პროექტების კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ნაწილების საექსპერტო სამუშაოების განსახორციელებლად.

საფუძველი:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 13.06.2013 წერილი №11/4338;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 19.06.2013 წერილი №11/4447;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 23.10.2013 წერილი №11/7002;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24.10,2013 წერილი №11/7024.

პატივისცემით,

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი — დავით გიგინეიშვილი

ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	ჩახტაური დავით	
პირადი №	01011023976	
საცხოვრებელი მისამართი	ქ. თბილისი, მთისძირის ქ. №43	
საკონტაქტო ტელეფონი	599 58 29 12; 597 94 44 44	
ელ-ფოსტა	dchakhtauri@yahoo.com	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის №2-სა და №4-ს შორის მდებარე შპს "ბანი 13"-ის ავტოგასამართი კომპლექსი	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	მშენებლობის პროექტის ნაწილის საექსპერტო შეფასება	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	მშენებლობის პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება	
შემთანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი;	
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV);	
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერთიფიკატები);	
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;	
	ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;	
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.	
ხელმოწერა		
თარიღი		